# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 343 — კვირა, 28 აგვისტო 1905 წ. — გაზეთის № 2898

# ცხოვრების მსხვერპლი

უნივერსიტეტი რომ გავათავე, ერთს წელიწადს იქვე დავრჩი, მეორე და მესამე საზღვარ-გარედ გავატარე, შემდეგ დავბრუნდი ჩვენ ქალაქში.

ზამთარი იყო. სამი დღის ჩამოსული ვიყავ. საშინელი თოვა დაიწყო. ბამბის ქულასავით ფართო თოვლი ცვიოდა. ძლიერ მიყვარდა ასეთ ამინდში სიარული. იმ დღესაც ავდექ, ჩავიცვი ჩემი სქელი პალტო, ჯოხი ხელში დავიჭირე და გავუდექ გზას. თითქმის ბავშვობის შემდეგ აღარ ვიყავ ნამყოფი და ქუჩებს ველარ ვაგნებდი. ერთ ხანს ვიარე წინა დღეს ნავალ ქუჩებზე. ისეთი ძლიერი თოვლი მოდიოდა, რომ თვალებს აჭრელებდა. ახლო მდგარ კაცსაც ვერ იცნობდი. მე მაინც განვაგრძე გზა ანგარიშ მიუცემლად.

ცა გადიწმინდა, თოვა შეჩერდა, მხოლოდ ცოტა ნამცეცები ცვიოდა. შევჩერდი, გზა გადამეხვია და ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულ ქუჩაში გავსულიყავ. ცოტა მანძილი კიდევ რომ გავიარე, შემომეფეთა ერთი ათი-თერთმეტი წლის ბიჭი. ძველ ნაფლეთებში იყო გამოხვეული, საიდანაც საცოდავად მოუჩანდა ტიტველი კანი. ფეხ-შიშველას თოვლში ფეხები გასწითლებოდა, ფეხის თითები დასიებოდა და ფრჩხილები დალურჩებოდა. მწარე ცრემლით სტიროდა. ერთის ხელით მალ-მალ ცრემლიან თვალებს იწმენდა, მერე ხელს გააქნევდა, პირისკენ წაიღებდა და წინ დახეულ, ჭუჭყისაგან გაქონილ, პერანგის კალთაში იხვევდა. სიცივისაგანვე ფეხებს მაღლა-მაღლა მიაცოცებდა.

ხელი მოვკიდე და შევაჩერე.

— რა გატირებს, ბიჭო!

ბავშვმა მოწყალების მთხოვნელის სახით შემომხედა და მითხრა:

— როგორ რა მატირებს, ბატონო, ერთი დაი მყავდა და ისიც უპატრონოდ მიკვდება...

სად არის შენი და?—რაღაცამ დამაინტერესა, თუ არ ვიცი სიბრალული აღმეძრა ბავშვის მიმართ·

— აქვეა, ბატონო!

— წამოდი, მაჩვენე, იქნება რამე ვუშველო!

ბავშვმა ერთი შემომხედა იჭვის თვალით, ეტყობოდა ნდობა ჰქონდა დაკარგული. რა დარწმუნდა, რომ არ ვლაზღანდარობდი, სიხარულით კინაღამ პალტოს კალთები დამიკოცნა.

— გამიძეხ!

ბავშვი გაიქცა, მეც გავყევ. ქუჩის ბოლოში ერთი ნახევრად დანგრეული მიწური სახლი იდგა. შევიდა ბავშვი და შევყევ. შევედი ერთ ბნელ, ნახევრად სველ, სამარესავით ცივ ოთახში. სრულიად ბნელოდა, მხოლოდ კუთხეში გაარჩევდით, რომ რაღაცა იდგა და ვიღაც სუნთქავდა.

— არ შეიძლება, პატარავ, აქ გასასყიდი სანთელი იშოვო?

— როგორ არა დუქანში.

— მაშ წადი და მოიტანე!

ფული მივეცი და ბავშვი გაიქცა. ავადმყოფმა დაახველა და ნელის ხმით დაუძახა:

— სერიოჟა!

— რა გინდათ?—შევეკითხე. —წყალი ხომ არ გინდათ? ჩემი ხმა ბავშვის ხმისაგან ვერ გაარჩია და დამიძახა:

— მოდი აქ, სერიოჟა.

მივუხალოვდი.

— იცი, რა გითხრა, სერიოჟა? მე ვკვდები, დამასაფლავებენ, შენც ნუ გეშინიან, ღმერთი უნუგეშოთ არ დაგაგდებს; გაიზრდები, იქნება ნახო ტანჯვა-წვალება და უთუოდ ეგრეც იქნება, მაგრამ შენს ადამიანობას მაინც ნუ დაჰკარგავ, სულით არ დაეცე, გიყვარდეს შრომა, კეთილი გინდოდეს ყველასათვის, გაჭირვებულს ხელს უწყობდე, რითაც შეგეძლოს, მე კი ნუ მიდარდებ...

კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს სერიოჟა შემოხტა სანთლით ხელში. სანთელს მოუკიდე და დავხედე ლოგინს. რა დავინახე? ერთ დანგრეულ ტახტზე მჩვრები ეყარა, ამ მჩვრებზე იწვა ავადმყოფი, რომელსაც ერთი დაძონძილი საბანი ეფარა. თვალები დაეხუჭა, გრძელი შავი წამწამები ხავერდივით დაჰფენოდა, შუბლი შეეკრა, ცხვირის ნესტოები ებერებოდა, ტუჩები ძლიერ დაფიცხებოდა ალის ფრად, მძიმედ ისუნთქებოდა. ცარიელი ძვლები-ღა იყო. მაგრამ ეტყობოდა, რომ ოდესღაც მშვენიერი უნდა ყოფილიყო. მივუახლოვდი, სანთელი მოშორებით დავდგი და ნელის ხმით ვუთხარი.

— გაახილეთ, ბატონო, თვალი!

ამ კილომ დააფრთხო,. თვალები განივრად გაახილა და დაკვირვებით შემომაჩერა.

— ვინა ხართ, ან რა გინდათ?

დავიბენი, არ ვიცოდი, რა მეპასუხნა.

— ექიმი ვარ!—ვიტყუე.—იქნება გიშველოთ

ქალს მწარე ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე და უკმაყოფილოდ თვალები დახაბა. მე იმისი მაჯა ავიღე. ულონოდ სცემდა.

— სერიოჟა!—მიუბრუნდა ჩუმად ბავშვს.—არავინ არის აქ, ექიმთან რომ გავგზავნოთ?

— როგორ არა, მოვიყვან!

— მაშ დამიძახე.

ბავშვი გაიქცა და პატარა ხანს უკან ვიღაც ახალგაზრდა მოიყვანა, რომელსაც ფული მივეცი და ექიმთან გავგზავნე. ავადმყოფმა ხელახლა მომაპყრო თავისი დიდრონი თვალები.

— მაშ თქვენ ექიმიც არა ხართ?

— არა ვარ, მაგრამ ნუ გეშინიანთ ჩქარა მოვიყვანთ...

— ეხლა ყოველივე ამაოა, მე რაღა ექიმი მიშველის!

თავად არ მქონდა იმედი, მაგრამ იმას მაინც ვანუგეშებდი. დიდი ხნის დაუვარცხნელი, ხშირი შავი თმა ტევრივით დაჰყროდა კისერზედ, თვალებს ხშირად ხუჭავდა და ახელებდა.

— თქვენი სახელი?—ვკითხე.

— ლიდა.

მითხრა ცივად, კიდევ გაალო თვალი და შემომაჩერდა ისეთის გამომცდელის თვალებით, თითქოს უნდოდა ამოეკითხა ჩემი გულის ნადები,

— ვინ მოგიყვანათ აქ?—მკითხა ეჭვიანის კილოთი.

— თქვენ ძმას შევხვდი და იმან შემომჩივლა.

— მერე?

— მერე გამოვყევ.

— რომ ნახოთ დატანჯული ადამიანი და დასცინოთ, არა?

— არა ბატონო, დაგცინოთ-კი არა, რომ გიშველოთ, დაგიხსნათ ავადმყოფობისაგან.

ჩემს თავს ველარ ვცნობდი, ისე შემიპყრო იმ ქალის წინაშე პატივმა და მოკრძალებამ.

— მე ვერ დამიხსნით, მაგრამ მაინც რით ხელმძღვანელობთ, რომ მიხსნით?

— ეს ზნეობრივი მოვალეობაა...

— ზნეობრივი!..—მწარედ გაეცინა.

— თქვენ, როგორც გეტყობათ, ჯერ ცოტა გიცხოვრიათ: სად არის ზნეობა, სად არის მოვალეობა? იგი უნდა ჰქონდეს ადამიანებს და ადამიანი არ არსებობს. არსებობს ცხოველი, ყველას უნდა შენით ისარგებლოს.

ამ სიტყვებს ისეთის ხმით და კილოთი ამბობდა, რომ გულს მიკლავდა.

მცირე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ვთხოვე, ნება მოეცა თმა დამევარცხნა. ჩემი უბის სავარცხელი ამოვიღე და ნელა, მოკრძალებით, რომ არ შემეწუხებინა, დავუწყე ვარცხნა. ეხლაც თვალწინ მიდგას იმისი მაღალი, მოღერილი, ბროლივით თეთრი ყელი, განიერი მაღალი გულ-მკერდი,



ს. ვიტტე. ბარ. როზენი. პრ. რუზველტი. ბარ.კომურა. ტაკახირა.

რუსეთის და იაპონიის წარმომადგენელნი ზავის შესკრავად.

რომელიც ძლიერად აუდ-დაუდიოდა. ხმა ვერ ამომელო, მინდოდა სულ მეცქირა სახეში, თანაც მეშინოდა ცუდი არა ეფიქრა-რა. დროგამოშვებით ხველა უვლიდა და თვალებს ახუჭვინებდა. პალტო გავიძრე და გადავახურე.

— რასა შვრებით? როგორ შეიძლება, გაცივდებით!

— არა, მე არ გავცივდები, ფიქრი ნუ გაქვთ. ცოტა ხანს დავიცადოთ, ექიმის მოსვლამდის, და ჩქარა გაგიყვანთ ამ საძაგელ სოროდან.

— არა, მე აქედან ველარ გავაღწევ, მხოლოდ თუ მომისმენთ, მოკლედ გეტყვით ჩემს ვინაობას.

— ყურადღებით მოგისმენთ, მხოლოდ არ დაიღალოთ.

ამ დროს ექიმი შემოვიდა, ცხვირზე სათვალეები ედო. მიიხედ-მოიხედა. უკმაყოფილო სახეზე ეტყობოდა, რომ არაფრად ესიამოვნა ეს ღარიბული ქოხი და უსუფთაობა.

— ეს არის ავადმყოფი?—სთქვა ექიმმა.

— ეს გახლავთ... გასინჯეთ.

ექიმმა გასინჯა და გადაქნია თავი. ოთახს ხელახლა თვალი მოავლო.

— ამ პირობებში წამლის გამოწერა არა ღირს, თუ შეგიძლიანთ საავადმყოფოში გადმოიყვანეთ.

მე პირობა მივეც, რომ იმავე დღეს ჩავიყვანდი. ექიმმა კიდევ გასინჯა. ისიც რაღაცამ დააინტერესა. გასინჯა და გააქნია თავი.

— რას იტყვით, ექიმო?—ვკითხე განზე ჩუმად.

— ძალიან ცუდად არის.

— ეშველება?

— ვინ იცის...

— გადიქნია თავი. სერიოჟამ ეტლი მოიყვანა. ექიმი დამეხმარა, ის ბიჭიც. ლიდა გამოვხვიეთ ჩემ პალტოში, დაგლეჯილი საბანი ფეხებზე შემოვაბყრეთ, ავიყვანეთ და ჩავსვით გადმოხურულ ეტლში, სერიოჟა წინ ჩამოგვიჯდა, რაც შეეძლო ხელებს აფარებდა მუხლებზე და იფარავდა სიცივისაგან. საავადმყოფოში მოყვანისათანავე ექიმებმა წამალი მისცეს და ჩააძინეს. მომვლელი ქალი დავასაჩუქრე, კარგად ეგდო ყური ჩემს მობრუნებამდის. შემდეგ სერიოჟა დავაბინავე და ვუყიდე, რაც საჭირო იყო.

გული მიჩქროლავდა, მეჩქარებოდა, ვცდილობდი მალე დავბრუნებულიყავ საავადმყოფოში. რაღაც მიზიდავდა იმ ქალისკენ. თავს ველარ ვცნობდი. პირველ მისვლას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე, ბოლოს ჩვეულებად გავიხადე საავადმყოფოში სიარული. არ შემეძლო, მიუსვლელობა, ულიდოთ ვერ ვძლებდი. ამ სიარულის დროს ლიდამ დაწვრილებით მიამბო თავისი თავ-გადასავალი.

მამა ჩემი მეჩექმე იყო,—მიამბო ლიდამ;—თუ რასმეს შოულობდა, ღარიბულ ჭამა-სმაზე ხარჯავდა და აღარა რჩებოდა-რა. ათი წლის ვიყავი, მამა რომ მომიკვდა. მახსოვს, დედა როგორ მწარედ სტიროდა. სერიოჟა სულ პატარა იყო. დედამ მამის ხელ-საწყოები გაჰყიდა და ისე დამარხა. ჩვენ ერთ პატარა ოთახში ვიდექით. საქმე ძალიან გაგვიჭირდა, რადგან დედაჩემი საჭმლის ფულს ძლივს შოულობდა სარეცხით. სახლის ქირა ყოველ თვე გადაუხდელი რჩებოდა. მაგრამ სახლის პატრონი არაფერს ამბობდა. პირიქით, რამდენსამე ხნის შემდეგ ქირა-კი არა, კერძის გზავნაც დაგვიწყო. დედა ამბობდა ძალიანი კაცია, ქვრივ-ობლები შემწე, სულისათვის ზრუნავს.

შემდეგ თავადაც დაიწყო ჩვენსა სიარული. დედა ჩემი ძლიერ ლამაზი ქალი იყო. თურმე მამიჩემის სიცოცხლეშივე ჰქონდა დედა ჩემზედ თვალი, მაგრამ ეშინოდა. გავიდა ხანი, და დაუწყო დედას სიყვარულის ახსნა. ეუბნებოდა: გადმოდი ჩემს სახლში, დედოფლურად გაცხოვრებ, შვილებს დაგიზრდი, ყველას სწავლაში მივსცემო. პირველად დედა კინაღამ ჭკუაზე შეიშალა, როგორ გამიბედაო. ის-კი ემუქრებოდა, შენ იმდენი გმართებს ჩემი, შემიძლია ციხეში ჩაგსვა; ორში ერთი არჩიე: მდიდარი კეთილი ცხოვრება, ანდა შენთვის ცივი ციხის კედლები და შვილებისთვის მათხოვრობაო.

„დედა ჩემი ერთი კარში გამოუსვლელი შინაური სუსტი არსება იყო, ეგონა ქვეყანა თავზე მექცევაო· ბოლოს იმისმა მუქარამ დასძლია და მეორე წელიწადს გადასახლდა სახლის პატრონისას. ცხოვრება მართლაც კარგი გვქონდა, მე სკოლაში შემიყვანეს, სერიოჟას სახლში დაუდიოდა მასწავლებელი. ჩვიდმეტი წლისა ვიყავი და მეხუთეში გადავდიოდი, როდესაც უბედურება მომევლინა: დედა მომიკვდა.

„დედა რომ საფლავში ჩაუშვეს, გონება დავკარგე. მხოლოდ მეორე კვირას მოვედი აზრზე. ანთება მწვავდა. სულის მტერი, მამაჩემის ნაცვალი ფარვანასავით თავზე დამტრიალებდა. მესამე თვეზე სრულიად გამოვკეთდი, აღარც სუსტად ვიყავ, მაგრამ ხალისი აღარაფრისა მქონდა: სწავლასაც თავი დავანებე, მხოლოდ წიგნებით-ღა ვნუგეშობდი. ოჯახის ყოველი საქმე ჩემს ხელში გადმოდიოდა. არავის არაფერს ვკითხავდი, თითქოს ჩემი სიტყვა კანონი იყო, ისე მოქმედობდნენ ჩემს ნებაზე. თუმცა ძმი-თურთ უზრუნველ ყოფილი ვყავდი, მაგრამ მაინც მეზიზღებოდა მისი ძალზე გასუქებული და საყელოზე გადმომჯდარი კისერი, შავად მომბზინავი სახე, ძეჴვებივით დაბერილი ხელები და გაუმაძღარი მსუნაგი თვალები. ვიტყოდი ხოლმე გულში: მართალია, დედა ჩემს უჭირდა, მაგრამ მაინც რა გული უძლებდა ამასთანა-მეთქი.

„დედის სიკვდილის შემდეგ თერთმეტი თვე იყო გასული. აგარაკიდან ახლად ჩამოსულნი ვიყავით, ერთს საღამოს ჩემს ოთახში ვიყავი წამოწოლილი. თავით ლამპა მედგა და წიგნს ვფურცლავდი. ნელა გაიღო კარი და მოკრძალებით შემოვიდა ის საზიზღარი. მეუცხოვა, ჩემს ოთახში არ დადიოდა. წამოვდექ ზრდილობით. გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი, შეჩერდა, შემომხედა და თვალები ძირს დახარა. მეც ავირიე, არ ვიცოდი, რა უნდოდა ამ კაცს ჩემგან. საჩქაროდ მოვიდა და დაიჭირა ჩემი ხელი· შემეზიზღა, მაინც შევჩერდი. ნელა და ხრინწიანის ხმით მითხრა:

„ლიდა, მოვკვდი, აღარ შემიძლია ამდენი... დავდნი კაცი, ჩემს საცხოვრებელს შენ განაცვალებ. · ამ სიტყვების გაგონებაზე სისხლი ამივარდა სახეში და ხელი გამოვგლიჯე.

— არა გრცხვენიანთ? არ იცით, ვინა ვარ მე და ვისი შვილი?

-- რა ვუყოთ მერე, ლიდა, ჯვარ დაწერილი არა ვყოფილვართ და შვილი არ დაგვრჩენია. ოღონდ შენ ინებე და ყოველივეს შენ შემოგავლებ, ოქრო, მარგალიტი, ბრილიანტი.

— ხმა, კრინტი! — დავუყვირე. — შე გარყვნილო პირუტყვო!

— კარგი ერთი დაა...

„გამოიწია მოსახვევნად“ ერთი ვიკივლე და გავვარდი ოთახიდან. ზალაში შევვარდი და კარი ჩავიკეტე. აივანზე გავიდა და მომაძახა: დაიცა, ისეთ რას დაგაყენებ, რომ შემეხვეწები კიდეცაო.

„იმ ღამეს ტირილით გავათენე. ვფიქრობდი, სად და როგორ წავსულიყავ, რომ გავცლოდი იმ საზიზღარ კაცის

არე-მარეს. მეორე დღიდან შეიცვალა ჩვენი ცხოვრება. ყოველივეს სიძუნწის ფეხი დაედო, ჩვენს ლუკმასაც-კი ითვლიდნენ, სერიოჟას ცემა დაუწყო. ვინ წარმოიდგენს მაშინდელ ჩემ სულის-კვეთებას! გავიდა თვე-ნახევარი ამ ყოფაში. ადგილი-კი არსად სჩანდა. ერთ ნასადილევს კარი ღია დამრჩენოდა, თუ სერიოჟას დაეტოვებინა არ ვიცი,—იმ დღიდან კარს ღიას აღარ ვუშვებდი, უეცრად გაიღო კარი, თითქოს მოგჯაო, და ქარზე უმალეს შემოვარდა ოთახში, კარი დაჰკეტა და კლიტე ჯიბეში ჩაიდო. მე შიშმა ამიტანა, კანკალი დავიწყე და ვკითხე:

„— რა გინდათ ჩემგან, რას მოითხოვთ?

„— არ იქნა, ვერ იმოქმედა შენზე ამდენმა ტანჯვამ, ამდენმა დამცირებამ და კიდევ ჯიუტობ?

„— არა და არა! თუნდა გამიასკეცო სასჯელი, შენს სახლს დავტოვებ, ულუკმოდ მოვკვდები და შენს ბიწიერ სურვილს მაინც არ დავემორჩილები, გესმის თუ არა?

„— როგორ არ მესმის, მესმის...

„ისეთის სახით მიყურებდა, სირცხვილით ვიწოდი. ტუჩებს მსუნაგ მელასავით აცმაცუნებდა.

— იცი, ლიდა, რა გიხდება ჯავრობა? ნამდვილი ვეფხვი ხარ და!

„მწვდა სახელოში, გავუსხლტი ხელიდან, გადავხტი სტოლთან, დავწვდი დანას და შევუტიე:

„— არ გადმოდგა ფეხი, თორემ, დედის სულს ვფიცავ, ცოცხალს არ გაგიშვებ.

„შეჩერდა და დამიწყო თვალიერება, მეც მივჩერებოდი, მინდოდა ჩემის თვალების ძალით გამექრო. უეცრად კალიასავით გადმოხტა, ხელებში ხელი დამტაცა, დანა წამართვა, გადისროლა და გესლიანად გადიხარხარა.

„— ეხლა, გმირო, ვის ხელში ხარ?

„ოჰ, არ ვიცი, საიდან, მაგრამ საშინელი ღონე-კი ვიგრძენ. მთელის ჩემის ძალით გავიბრძოლე და გავუსხლტი ხელიდან, გადავხტი იქვე ღია ფანჯარასთან, რომელიც მეორე სართულიდან გადაიყურებოდა, მოვავლე ხელი და ავიწიე ჩარჩოზედ.

„— ღმერთს ვფიცავ ეხლავ გადავვარდები, თუ ფეხი დაგიძრავს ჩემსკენ და ეხლავ გარედ არ გასულხარ!

„შემომხედა, როგორც დამარცხებულმა, მკვდარივით ხელები დაყარა და ქშენით გავიდა. სანამ ფეხის ხმა არ მისწყდა, ფანჯარას არ მოვცილებივარ. შემდეგ ჩამოვხტი და დავკეტე საჩქაროდ. დავუძახე სერიოჟას. დავკეტე ჩემი ოთახი, სერიოჟა წავიყვანე და წავედი ადგილის საძებრად. აქ ხომ აღარ შედგომებოდა. დაბინდებამდის ვიარე ქუჩა-ქუჩა, ყოველ მაღაზიაში ვკითხულობდი. ერთ კანდიტერში ვიშოვე ადგილი, ჯამაგირი არ მოვითხოვე, ოღონდ მე და ჩემი ძმა შევენახე. დამთანხმდნენ. მოვბრუნდი სახლში, — ის კიდევ არ დაბრუნებულიყო. ჩავალაგე ჩემი და სერიოჟას საცვლები, დედი ჩემის ნივთები არ დამიტოვებია, დანარჩენისთვის, რაც ზედ არ გვეცვა, ხელი არ მიხლია. ყოველივე დავტოვე და წამოველი. ორი თვე ბედნიერად ვცხოვრობდი. ერთ დღეს სრულიად მოულოდნელად და უმიზეზოთ დამითხოვეს. შემდეგ, როგორც გავიგე, წინანდელი სახლის პატრონის მოხერხება ყოფილიყო. ისევ უადგილობა და გაჭირვება. ორი კვირა თავ შესაფარ სახლში გვეძინა. წარმოიდგინეთ, რას გადვიტანდი!..

„რა მექნა? მართალია, ცოტაოდენი სწავლა მქონდა მიღებული, მაგრამ, ხომ, იცით, უპატრონო ვილაც მშველელი, დამხმარე არავინ მყავდა... დიდის ტანჯვის შემდეგ დავდექ ერთ კერძო სამრეცხაოში. იქაც მუქთად ბინა და საჭმელი მომცეს ძმიანათ. ორივე ვმუშაობდით. ჩემს ფიზიკურ ტანჯვას კაცი ვერ წარმოიდგენს. დადგა შუა ზამთარი, დადგა ყინვები. წყლის ზიდვაც-კი დამაწყებინეს. ვეღარ ავიტანე, გავცივდი და გამიჩნდა ანთება. სახლიდან რომ არ დავეთხოვე, დავიწყე ნელ-ნელა ნივთების ძლევა. არც ექიმი იყო ჩემთვის, არც წამალი... ყოველივე მივეცი, რაც კი მებადა; დავრჩი ცარიელი, ბოლოს სახლიდანაც გამომაგდეს. ერთმა მადლიანმა ღარიბმა დედაკაცმა შემიკედლა და იქ, იმ ქოხში დამაწვინა. ხუთი დღე ნახევრად მშიერ-მწყურვალი ვეყავით მე და სერიოჟა, მაგრამ ჩემზე გული, თქვენს მეტს არავის შესტკივნია. ეს არის მოკლედ ჩემი თავ-გადასავალი“.

როდესაც ლიდამ ლაპარაკი დაამთავრა, თავისი უღონო ხელი ხელზე დამადო და მადლობის თვალით გადმომხედა. მთელ ტანში ცეცხლმა დამიარა, ცრემლები თვალებზე მომადგა, ვიტანჯებოდი, გული მეკუწებოდა. ვატყობდი, რომ ეს ქალი ჩემთვის უცხო აღარ იყო. ავიღე თავი და ჩავხედე თვალებში. არც მანამდის და არც შემდეგ მე ისეთი თვალები აღარ მინახავს. თითქოს მეუბნებოდა: „ამდენს ხანს სად იყავ, რად არ მომასწარ? აწი ვეღარ მიხსნიო“. გატაცებით დავეკონე იმის ხელს. ნათლად მესმოდა, რომ ჩვენი გულები ერთნაირად სცემდა. ვგრძნობდი, რომ უკვე გვიყვარდა ერთმანეთი.

— ნუ გეშინიან, ლიდა! ნუ გეშინიან, სიკვდილს შევეჭიდები ყოველის ღონით და გადაგარჩენ...

— არა, ჩემო გიორგი!—მითხრა მწარედ,—გვიანღა არის, მე აღარ მიხსნის-რა. ოჰ, ცოტა ადრე რომ გვენახა ერთმანეთი.

ტირილი მოერია. გული მელეოდა, თავი ვეღარ შევიკავე და დავეკონე იმის გამხდარ მკერდს. ის თავზე ხელს მისობდა დი ნიავსავით ნელის ხმით მეჩურჩულებოდა: „გვიანღაა, გვიანღააო“. ვატყობდი, რომ მართლა გვიან იყო. გულში საშინელი ტკივილი ვიგრძენ. ლაპარაკს და ნუგეშსაც კი ვეღარ ვახერხებდი. მინდოდა, ჩემი გული გადამეშალა, ყველაფერი მეთქვა, მაგრამ ცრემლი ნებას არ მაძლევდა. ბოლოს ლიდამვე დაარღვია სიჩუმე:

— შემომფიცე, შემომფიცე, რომ ჩემ შემდეგ სერიოჟას უპატრონებ... გაზრდი და ქუჩის მაწანწალად არ გახდი... ამით დამიმტკიცებ სიყვარულს.

უკანასკნელი სიტყვები ჩურჩულითა სთქვა.

— გეფიცები ყველაფერს, რაც კი ჩემთვის წმინდაა, რომ სერიოჟა, როგორც საკუთარი ძმა, ისე აღვზარდო.

დაღამდა, წუხილმა თანდათან უმატა. ექიმებს ვსთხოვე დავრჩენილიყავ იმ ღამეს. მთელმა ღამემ ტანჯვაში ჩაიარა. სულთ-მობრძავი ლაპარაკს ვეღარ ახერხებდა. დაატყო, რომ აღსასრულის სიომ დაჰკრა. ჩაიკრა ძმა გულში და დალოცა. გამომიწია ხელები და შემომხვია ყელზედ. უღონოდ დაეშვა ბალიშზე. კიდევ წამოიწია, უნდოდა მომხვეოდა, მაგრამ, ხელი ვტაცე თუ არა, გააძაგძაგა და სული დალია...

— ლიდა!—ჩავძახე მწარედ და ჩავეხვიე. სერიოჟა გულსაკლავად ქვითინებდა და ეხვეოდა ცხედარს.

მეორე დღეს ეკკლესიაში გავასვენეთ, ხოლო მესამეს— დავასაფლავედ. მეც ამ ქალაქში დავრჩი საცხოვრებლად. წელს ათი წელი სრულდება. თითქმის ყოველ კვირაში დავდივარ საფლავზე და ყვავილებით ვამკობ. აი, ამ შემთხვევამ და მოულოდნელად გაღვიძებულმა სიყვარულმა უდროოდ დამაბერა და შეხვედრისას იმიტომ ვეღარ მიცანი.

ასე მელაპარაკა რკინის გზის სადგურზე ერთი ჩემი სკოლის ამხანაგი. ეტყობოდა, ვიღაცას ელოდა. ამ დროს მატარებელიც მოვიდა. პლათფორმაზე გავედით, ხალხი ჩამოდიოდა. ჩემმა ამხანაგმა სიხარულით დაიძახა—სერიოჟაო, და გადაეხვია ახალგაზრდა, მოხდენილ სტუდენტს.

**გარიყული.**



— ახლა, მამაჩემო, გიმნაზიელი ვარ. შენ როგორც მასწავლებელს, მგონია, აღარ შეგიძლიან ჩემ ოთახში შემოსვლა, რადგან მასწავლებლებს აღკრძალული აქვთ შესვლა მოწაფეთა სადგურებში.



— როგორ ჰფიქრობ, როდის დაიწყებ სიარულს გიმნაზიაში? 1-ლ სექტემბრიდან?

— ჯერ ყველა ჩვენი მოთხოვნილება არ აუსრულებიათ, მაგალითად, სამოქალაქო კანონით ცოლის შერთვის შესახებ. მანამ ამ მოთხოვნილებასაც არ შეასრულებენ, მე არ ვივლი გიმნაზიაში.



**მოწაფე.** თქვენ რატომ ქუდს არ მიხდით?

**მასწავლებელი.** ??

**მოწაფე.** ნუ გავიწყდებათ, რომ ქუჩაში მე თქვენი მოწაფე კი არა ვარ, არამედ მოქალაქე ისეთივე, როგორიც თქვენ.



**მოწაფე.** ნება მიბოძეთ გაგაცილოთ, ქალო!

**ქალი.** იქით გამეცალე, თავხედო!

**მოწაფე.** ნუ გავიწყდებათ, ქალბატონო, რომ მე გიმნაზიელი ვარ, რომელსაც, როგორც ნაბძანებია, ყველანი უნდა ზრდილობით ეპყრობოდნენ.



— შენ დღეს სად მიდიხარ?

— მე ვფიქრობ, დღეს ბანკის რესტორანში წავიდე.

— რას ამბობ? იქ რა გინდა! სჯობია „ბელ-ვიუში“ წავიდეთ. იქ უფრო კარგ საარშიყო რომანსებს მღერიან და ქალებიც უფრო კარგებია.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი


ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა.